

ს/კ 402046502

წესდება

მუხლი 1

ზოგადი დებულებები

- 1.1. ა(ა)იპ „საქართველოს ავტომობილების ინსპექტირების ცენტრების ასოციაცია“ წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილ წევრობაზე დაფუძნებულ არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს (შემდგომში „ასოციაცია“).
- 1.2. სუბიექტი წარმოშობილად ითვლება ითვლება მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. ასოციაცია რეგისტრირებულია 2017 წლის 28 თებერვალს.
- 1.3. სახელწოდება: „საქართველოს ავტომობილების ინსპექტირების ცენტრების ასოციაცია“.
- 1.5. სამართლებრივი ფორმა არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.
- 1.6. იურიდიული მისამართი: თბილისი, ნოდარ ბოხუას ქ№8
- 1.7. საწარმოს ელექტრონული ფოსტის მისამართი: info@gviba.ge
- 1.8. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი თავისი წევრის (წევრების), აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ვალდებულებებისათვის მისი წევრები, აგრეთვე მისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) პასუხს არ აგებენ. ასევე არ აგებს პასუხს არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საკუთარი წევრების, აგრეთვე თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) ვალდებულებებისათვის.

მუხლი 2

ასოციაციის მიზნები

2.1. ასოციაციის მიზნები:

- ❖ ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისათვის ვარგისობაზე პერიოდული ტესტირების და ტექნიკური გამართულობაზე კონტროლის სისტემის სრულყოფა-განვითარების კონცეფციებისა და კონკრეტული გეგმების დამუშავება;
- ❖ ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისათვის ვარგისიანობაზე ტესტირების სისტემის სრულყოფისათვის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა;
- ❖ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების ცენტრების ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის სრულყოფა, მენეჯმენტის სისტემის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის

გაუმჯობესება (მათ შორის მიმდებარე ტერიტორია, საწარმოო შენობა-ნაგებობები, აკრედიტაციის სფეროს ფარგლებში საჭირო მონაცემების-დანადგარები, ინსტრუმენტები და გამზომი საშუალებები, გამტარუნარიანობა), პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, რაც უნდა პასუხობდეს მათ წინაშე ნორმატიული დოკუმენტებით წაყენებულ მოთხოვნებს, რომლის შესაბამისობას ამოწმებს სსიპ “აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი”;

- ❖ ევროდირექტივებთან ჰარმონიზაციის მიზნით, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრულ ვადებში ევროდირექტივების - იმპლემენტაციის ხელშეწყობა;
- ❖ არსებული ტესტირების ცენტრების მობილიზება ფართომასშტაბიანი ტესტირების დაწყებისთვის, რათა ისინი მზადყოფნაში იმყოფებოდნენ ტექნიკური და ორგანიზაციული თვალსაზრისით;
- ❖ ასოციაციის ჩართულობის შეთავაზება სსიპ “აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი”-ს მიერ ტესტირების ცენტრების გეგმიური მონიტორინგის ჩატარებისას.
- ❖ ასოციაციის წევრ ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისიანობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირების ცენტრების კანონიერი ინტერესების წარმოდგენა და დაცვა.
- ❖ სახელმწიფო ორგანოებთან და მის უფლებამოსილ პირებთან კონსულტირება და თანამშრომლობა შემდეგ საკითხებში:
 - ✓ ხელსაყრელი პირობების შექმნა ახალი და/ან დამატებითი ტესტირების ცენტრების დაარსებისთვის იმ რეგიონებში, სადაც არსებობს სერვისის მიწოდების შეფერხების რისკები.
 - ✓ საქართველოს მთლიან ტერიტორიაზე ტექნიკური ინსპექტირების განმახორციელებელი ცენტრების ლოკაციების და მათი სიმძლავრეების განაწილების ისეთი სქემის შემუშავება, რომლის პირობებში ნებისმიერი ავტომფლობელისთვის უზრუნველყოფილი იქნება ინსპექტირების ხელმისაწვდომობა (გეოგრაფიული სიახლოვე და რიგების დასაშვები დონე)
 - ✓ ასს-ის პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების პროცესის ერთიანი ცენტრალიზებული მართვის ავტომატიზებული სისტემის (ტექნიკური დავალება) დანერგვის ხელშეწყობა.
 - ✓ ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირების საკითხებზე საზოგადოებასთან კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავება, საზოგადოების სათანადო ინფორმირებულობისა და სათანადო ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით.
 - ✓ რეკომენდაციების შემუშავება პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების განხორციელების პერიოდულობასთან, საფასურის რეგულირებასთან და ასს-ების მიმართ ტექნიკური მოთხოვნების გარდამავალი დებულებების შემოტანასთან დაკავშირებით.
 - ✓ ქვეყნის მასშტაბით ტესტირების ცენტრების ფუნქციონირების ერთიანი სტანდარტის (მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მომსახურების ხარისხი და ა.შ.) დანერგვა, მონიტორინგის ისეთი სისტემის ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა, რომელიც უწყვეტ რეჟიმში განახორციელებს ტესტირების ცენტრების დისტანციურ და/ან ადგილზე ეფექტურ შემოწმებას.

მუხლი 3

საქმიანობის ფორმები

3.1. წესდებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად ასოციაცია:

- ❖ შეიმუშავებს რეკომენდაციებს ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტესტირების სფეროში საქმიანობის მაღალი სტანდარტებით განხორციელების უზრუნველსაყოფად
- ❖ ხელს უწყობს ავტოტესტირების სფეროში მოღვაწე სუბიექტების სრულყოფილი საქმიანობისათვის ეფექტურ პირობა-გარემოების შექმნას;
- ❖ ქმნის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტესტირებასთან დაკავშირებული საინფორმაციო ცენტრებს (ოფისებს) და უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ და სხვა ორგანოებში წარმომადგენლობას;
- ❖ იცავს ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტესტირების ორგანიზაციების უფლებებს სახელმწიფო ორგანოების წინაშე;
- ❖ ეწევა ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტესტირების თაობაზე ტექნიკური და ინფორმაციული ხასიათის მასალების გავრცელებას;
- ❖ ხელს უწყობს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ავტოტესტირების სისტემის ჩამოყალიბებას, მათ შორის ქმნის ელექტრონულ ჟურნალს, პროგრამებსა და სხვა კომპიუტერულ მასალებს, რაც უზრუნველყოფს ტესტირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და ტესტირების განხორციელებილი სუბიექტების თაობაზე მონაცემთა სწრაფად დამუშავების, ურთიერთგაცვლისა და შენახვის ოპერატიულ განხორციელებას;
- ❖ თანამშრომლობს მსგავსი პროფილის საერთაშორისო ორგანიზაციებთან;
- ❖ ეწევა ავტოტესტირების სფეროში დაინტერესებული პირებისათვის სამართლებრივი და პროფესიული განათლების საკითხებზე საინფორმაციო-შემეცნებითი ხასიათის საქმიანობას;
- ❖ განახორციელებს სამართლებრივ და ტექნიკურ ექსპერტიზას, შეფასებასა და მონიტორინგს, ასევე ასოციაციის პოზიციის გამოხატვის გზით მონაწილეობს ავტოტესტირების სფეროში მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა-გადანწყვეტაში;
- ❖ ეწევა საგამომცემლო და მთარგმნელობით საქმიანობას;
- ❖ ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტესტირების სფეროში უზრუნველყოფს ტრენინგებისა და სემინარების ჩატარებას, რომელიც ხელს შეუწყობს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას;
- ❖ მოიძიებს ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისათვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირების სფეროში საგრანტო პროექტებს, რომელიც გამოიყენება კონკრეტული კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, ეკოლოგიური და სოცილური პროექტების პროგრამების განხორციელებისათვის;
- ❖ თანამშრომლობს მასმედიასთან ასოციაციის საქმიანობის რეკლამირების მიზნით და აქტიურად იყენებს სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებს.

3.2. ასოციაცია უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამენარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს ასოციაციის წესდებით განსაზღვრული მიზნების რეალიზებას. ასეთი

საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება ასოციაციის წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.

3.3. ასოციაციის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას.

3.4. საკუთარი ამოცანებისა და ფუნქციების განხორციელების მიზნით, ასოციაცია უფლებამოსილია შექმნას სამუშაო ჯგუფები, ასევე ასოციაციის კრებაზე მოიწვიოს ექსპერტები და სხვა დაინტერესებული პირები.

მუხლი 4

ასოციაციის დამფუძნებელი

4.1. ასოციაციის დამფუძნებელია:

ვაჟა იორდანიშვილი (პ/ნ 01011017250, დაბადებული 28.12.1966 წელს, მცხოვრები: თბილისი, პეკინის გამზ. N25, კორპ. 12, ბინა 81)

4.1. ასოციაციის დამფუძნებელი არის ასოციაციის წევრი.

4.3. დამფუძნებლის გარდა ასოციაციის წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც საქმიანობის სფეროც პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისიანობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირების ცენტრების საქმიანობას. აგრეთვე პირი, რომელიც იზიარებს ასოციაციის მიზნებს და მონაწილეობს ასოციაციის საქმიანობაში.

4.4. ასოციაციის დამფუძნებელი და რეგისტრაციის შემდეგ განვერიანებული წევრები სარგებლობენ თანაბარი უფლება-მოვალეობებით.

4.5. ასოციაციის წევრს უფლებამოსილება შეიძლება შეუწყდეს:

- ❖ საკუთარი განცხადების საფუძველზე;
- ❖ საწევრო შენატანის ზედიზედ 2 თვის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში;
- ❖ იურიდიული პირის ლიკვიდაციის ან ფიზიკური პირის ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად, გარდაცვლილად ცნობის ან გარდაცვალების შემთხვევაში.

4.6. ასოციაციის წევრი შეიძლება გაირიცხოს წევრობიდან, თუ მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება ასოციაციის მიზნებს ან უხეშად არღვევს წესდებით ან ასოციაციის მართველი ორგანოების მიერ მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

4.7. ასოციაციის წევრად მიღების, გასვლის და გარიცხვის შესახებ საკითხებზე გადაწყვეტილებებს დამსწრე წევრთა ხმათა უბრალო უმრავლესობით იღებს ასოციაციის მუდმივმოქმედი ბიურო (გამგეობა). წევრად მიღების, წევრობიდან გარიცხვის, ან გასვლის შესახებ გადაწყვეტილება ძალაშია მისი მიღების ან უშუალოდ გადაწყვეტილებაში მითითებული თარიღიდან.

მუხლი 5

ასოციაციის წევრთა უფლება-მოვალეობები

5.1. ასოციაციის წევრს უფლება აქვს:

- ❖ მონაწილეობდეს ასოციაციის საერთო კრების მუშაობაში;

- ❖ აირჩიოს და არჩეულ იყოს ასოციაციის მმართველ ორგანოებში;
- ❖ მონაწილეობდეს ასოციაციის მიერ შემუშავებულ პროექტებში;
- ❖ მიიღოს ინფორმაცია ასოციაციის საქმიანობის შესახებ;
- ❖ ისარგებლოს ასოციაციის ერთიანი ელექტრონული სისტემით;
- ❖ ასოციაციის მიზნების შესაბამისად ისარგებლოს ასოციაციის მატერიალ-ტექნიკური საშუალებებით;
- ❖ გავიდეს ასოციაციის წევრობიდან.

5.2. ასოციაციის წევრი მოვალეა:

- ❖ დაიცვას ასოციაციის წესდება, შინაგანესი და მმართველი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;
- ❖ გაუფრთხილდეს ასოციაციის ავტორიტეტს და ქონებას;
- ❖ პროფესიულ საქმიანობაში იხელმძღვანელოს ასოციაციის მიზნებით და პროფესიული ეთიკის ნორმებით;
- ❖ გადაიხადოს საწევრო შენატანები დადგენილი წესითა და ოდენობით;
- ❖ შეასრულოს ამ წესდებით განსაზღვრული სხვა ვალდებულები და მმართველი ორგანოთა გადაწყვეტილებები.

მუხლი 6

საერთო კრება

6.1. ასოციაციის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა საერთო კრება, რომელიც მოიწვევა წელიწადში ერთხელ მაინც.

6.2. საერთო კრება მოიწვევა ასოციაციის პრეზიდენტის ან მუდმივმოქმედი ბიუროს (გამგეობის) გადაწყვეტილებით ან ასოციაციის წევრთა 1/3-ის მოთხოვნით.

6.3. პრეზიდენტი ვალდებულია საერთო კრების მოწვევის შესახებ მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა დანიშნოს საერთო კრება. საერთო კრების ჩატარების თარიღი უნდა განისაზღვროს საერთო კრების დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს მე-20 დღეს.

6.4. იმ შემთხვევაში, თუ ასოციაციის პრეზიდენტი არ იღებს გადაწყვეტილებას საერთო კრების დანიშვნის შესახებ, ან არ შეუძლია გადაწყვეტილების მიღება წესდების 10.5 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებში, მუდმივმოქმედი ბიურო უშუალოდ თვითონ იღებს გადაწყვეტილებას საერთო კრების ჩატარების შესახებ. ამ დროს, საერთო კრების თარიღი უნდა განისაზღვროს გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს მე-20 დღეს, თუმცა დროის იმ შუალედის გათვალისწინებითაც, რომ ივარაუდებოდეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ასოციაციის წევრთა მიერ გაცნობისა და კრების ჩატარებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების ნორმალურად მოგვარების სათანადო შესაძლებლობა.

6.5. საერთო კრების დღის წესრიგი და ჩატარების თარიღი ქვეყნდება ასოციაციის ვებგვერდზე **და/ან ელფოსტის მეშვეობით ეგზავნება ასოციაციის წევრებს.**

6.6. საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება საერთო კრების მოწვევის თარიღისათვის არსებული ასოციაციის წევრთა ნახევარი მაინც.

6.7. ასოციაციის თითო წევრს საერთო კრებაზე თითო ხმა აქვს. იურიდიული პირი საერთო კრებაზე წარმოდგენილია ერთი წარმომადგენლით. ასოციაციის წევრის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება

განისაღვრება წერილობითი მინდობილობით, გარდა იმ შემთხვევისა თუ კრებაზე იურიდიულ პირს, საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე ხელმძღვანელი ესწრება.

6.8. ასოციაციის საერთო კრების გადაწყვეტილება აისახება საერთო კრების ოქმში, რომელსაც ხელს აწერს საერთო კრების თავმჯდომარე.

6.9. საერთო კრებას შეიძლება თავმჯდომარეობდეს ასოციაციის პრეზიდენტი, ასოციაციის მუდმივმოქმედი ბიუროს (გამგეობის) თავმჯდომარე, ან დამფუძნებელი.

მუხლი 7

საერთო კრების კომპეტენცია

9.1. ასოციაციის საერთო კრება:

- ❖ **ასოციაციის წევრთა** $\frac{1}{2}$ -ის უმრავლესობით იღებს ასოციაციის წესდებებს და ცვლილებები და/ან დამატებები შეაქვს მასში;
- ❖ დამსწრეთა $\frac{1}{2}$ -ის უმრავლესობით ირჩევს მუდმივმოქმედი ბიუროს წევრებს;
- ❖ ამტკიცებს ასოციაციის საქმიანობის წლიურ გეგმას;
- ❖ ასოციაციის თავმჯდომარისგან და მუდმივმოქმედი ბიუროს თავმჯდომარისგან ისმენს შესრულებული სამუშაოების შესახებ ანგარიშს;
- ❖ ასოციაციის წევრთა $\frac{2}{3}$ -ის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას ასოციაციის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;
- ❖ განიხილავს ასოციაციის საქმიანობისათვის მნიშვნელოვან სხვა ზოგადი ხასიათის საკითხებს.

მუხლი 8

ასოციაციის მუდმივმოქმედი ბიურო (გამგეობა)

8.1. ასოციაციის მუდმივმოქმედი ხელმძღვანელი ორგანოა 5 (ხუთი) წევრისაგან შემდგარი მუდმივმოქმედი ბიურო (გამგეობა). მუდმივმოქმედი ბიუროს (შემდგომში „ბიურო“) წევრებს ასოციაციის წევრთაგან 4 წლის ვადით ირჩევს საერთო კრება.

8.2. ბიუროს მუშაობას ხელმძღვანელობს ბიუროს თავმჯდომარე, რომელსაც ბიუროს შემადგენლობიდან ირჩევენ მუდმივმოქმედი ბიუროს წევრები 4 წლის ვადით.

8.3. ბიუროს სხდომები ტარდება თვეში ერთხელ მაინც. ბიუროს სხდომა მოიწვევა ასოციაციის პრეზიდენტის ან ბიუროს თავმჯდომარის ან ბიუროს არანაკლებ 3 (სამი) წევრის მოთხოვნით.

8.3. ბიურო გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მას ესწრება ბიუროს წევრთა ნახევარზე მეტი.

8.4. ბიუროს გადაწყვეტილება აისახება ბიუროს ოქმში, რომელსაც ბიუროს სხდომაზე დამსწრე წევრები აწერენ ხელს.

8.5. ბიუროს წევრები არიან:

ა) ვაჟა იორდანიშვილი (პ/ნ 01011017250, დაბადებული 28.12.1966 წელს, მცხოვრები: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N25, კორპ. 12, ბინა 81);

ბ) დავით კვანტიძე (პ/ნ 01009008188, დაბადებული 01.04.1975 წელს, მცხოვრები: თბილისი, ქ. ვაჟა-ფშაველას მე-5 კვ, კორ.4 ბინა N50);

გ) გიორგი კენჭაძე (პ/ნ 61001030199, დაბადებული 19.08.1961 წელს, მცხოვრები: ბათუმი, მელიქიშვილის 79ქ. ბინა N5);

დ) ზაზა დედარიანი (პ/ნ 35001052587, დაბადებული 26.06.1963 წელს, მცხოვრები: თბილისი, პეტრე იბერის 12 ქ., ბინა 38);

ე) დავით რეხვიამვილი (პ/ნ 35001005453, დაბადებული 16.07.1953 წელს, მცხოვრები: რუსთავი, კოსტავას ქ. 13, ბინა N26).

8.6. ბიუროს თავმჯდომარეა ვაჟა იორდანიშვილი (პ/ნ 01011017250, დაბადებული 28.12.1966 წელს, მცხოვრები: თბილისი, პეკინის გამზ. N25, კორპ. 12, ბინა 81).

8.6. ბიუროს თავმჯდომარეა ვაჟა იორდანიშვილი (პ/ნ 01011017250, დაბადებული 28.12.1966 წელს, მცხოვრები: თბილისი, პეკინის გამზ. N25, კორპ. 12, ბინა 81).

მუხლი 9

ბიუროს კომპეტენცია

9.1. ასოციაციის მუდმივმოქმედი ბიურო:

- ❖ **ირჩევს/გადაირჩევს ბიუროს თავმჯდომარეს;**
- ❖ ირჩევს/გადაირჩევს ასოციაციის პრეზიდენტს;
- ❖ იწვევს და ატარებს საერთო კრებას;
- ❖ ამზადებს წესდებებში შესატან ცვლილებების პროექტს და უზრუნველყოფს მის წინასწარ გამოქვეყნებასა და განხილვას;
- ❖ წყვეტს ასოციაციის წევრად მიღების, გასვლის და გარიცხვის საკითხებს;
- ❖ ამტკიცებს და ცვლილებები შეაქვს ორგანიზაციის ბიუჯეტში;
- ❖ იღებს გადაწყვეტილებას ასოციაციის მიერ სესხის, კრედიტის აღების/გაცემის ან ასოციაციის ქონების უზრუნველყოფის მიზნით დატვირთვის შესახებ;
- ❖ აგზავნის სარეკომენდაციო წერილებს იმ წევრებისათვის, ვისი საქმიანობაც ეწინააღმდეგება ასოციაციის მიზნებს, ან უხეშად არღვევს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს;
- ❖ შეიმუშავებს ასოციაციის საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებებს;
- ❖ საერთო კრებას წარუდგენს საკუთარი საქმიანობის შესახებ ანგარიშს;
- ❖ განსაზღვრავს ასოციაციის საწევრო შენატანის ოდენობასა და გადახდის წესს;
- ❖ წყვეტს ასოციაციის საერთაშორისო ორგანიზაციებში განწევრიანების საკითხებს;
- ❖ საჭიროების შემთხვევაში, იწვევს და ისმენს ასოციაციის ნებისმიერი თანამშრომლისაგან მის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ ინფორმაციასა და ანგარიშს;
- ❖ ამტკიცებს ასოციაციის სტრუქტურას, თანამშრომელთა საშტატო ნუსხას და სახელფასო ფონდს, აგრეთვე ცვლილებები შეაქვს მასში;
- ❖ იღებს გადაწყვეტილებებს ასოციაციის რეგიონული ფილიალების შექმნისა და გაუქმების შესახებ, ამტკიცებს მათ დებულებებს და ნიშნავს/ათავისუფლებს ხელმძღვანელებს;
- ❖ აფუძნებს საწარმოებს და ნიშნავს/ათავისუფლებს მათ ხელმძღვანელებს;

- ❖ ავტოსატრანსპორტო საშუალებების ინსპექტირების სფეროში სპეციალური საკითხების შესწავლისა და ამ საკითხების თაობაზე დასკვნების შემუშავების მიზნით ქმნის მრჩეველთა საბჭოს, ამტკიცებს საბჭოს მუშაობის წესის შესახებ დებულებას და საბჭოს პერსონალური შემადგენლობას;
- ❖ წყვეტს სხვა საკითხებს, რომელიც წესდებით არ განეკუთვნება სხვა ორგანოთა კომპეტენციას.

9.2. ბიუროს წევრს უფლებამოსილება შეიძლება ვადამდე შეუწყდეს:

- ❖ საკუთარი განცხადების საფუძველზე;
- ❖ ავადმყოფობის გამო ზედიზედ 3 თვის მანძილზე შრომისუუნარობის შემთხვევაში;
- ❖ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრების გამო;
- ❖ გარდაცვალებისას.

მუხლი 10

პრეზიდენტი

10.1. ასოციაციის ხელმძღვანელობისა და ერთპიროვნული წარმომადგენლობის უფლებამოსილებას ახორციელებს ასოციაციის პრეზიდენტი, რომელსაც 4 წლის ვადით ირჩევს ასოციაციის მუდმივმოქმედი ბიურო.

10.2. ასოციაციის პრეზიდენტია დავით მესხიშვილი (პ/ნ 01017002159, დაბადებული 26.05.1979 წელს, მცხოვრები: თბილისი, ნ. ჟვანიას ქ. N12).

10.3. ასოციაციის პრეზიდენტის უფლებამოსილება იწყება არჩევის დღიდან და გრძელდება, შესაბამისად, ახალი პრეზიდენტის არჩევამდე.

10.4. ასოციაციის პრეზიდენტი შეიძლება იყოს პირი, რომელიც არ არის ასოციაციის წევრი.

პრეზიდენტის კომპეტენციაა:

- ❖ წარმართოს ასოციაციის საქმიანობა საწესდებო მიზნების მისაღწევად;
- ❖ წარმოადგენოს ასოციაციის მესამე პირებთან ურთიერთობაში;
- ❖ შეხვედეს და გაუძღვეს ასოციაციის წევრებთან მუშაობას;
- ❖ ხელს აწერს საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებებს, მემორანდუმებს, შეთანხმებებს;
- ❖ აწარმოებს მოლაპარაკებებს სახელმწიფო ადმინისტრაციულ ორგანოებთან ასოციაციის საწესდებო ამოცანების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით;
- ❖ აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვა კერძო სამართლის ორგანიზაციებთან ინსპექტირების დარგთან და მის ფარგლებს გარეთ არსებულ საკითხებთან დაკავშირებით;
- ❖ ასრულებს ამ წესდებით მასზე დაკისრებულ სხვა მოვალეობებს.

10.5. ასოციაციის პრეზიდენტს ვადამდე უფლებამოსილება შეიძლება შეუწყდეს:

- ❖ საკუთარი განცხადების საფუძველზე, გადადგომის შემთხვევაში;
- ❖ ავადმყოფობისას, ზედიზედ 3 თვის მანძილზე შრომისუუნარობის გამო;
- ❖ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრების დროს;
- ❖ გარდაცვალებისას.

10.6. პრეზიდენტს უფლება აქვს განახორციელოს საკუთარი უფლებამოსილების ნაწილის დელეგირება. უფლებამოსილების დელეგირება ბრძანებისა და გაცემული რწმუნებულების საფუძველზე ფორმდება.

10.7. პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, ახალი პრეზიდენტის არჩევამდე, მის უფლებამოსილებას, დროებით, ბიუროს თავმჯდომარე ახორციელებს.

10.8. პრეზიდენტი საკუთარ საქმეებს კეთილსინდისიერად უნდა უძღვებოდნენ.

მუხლი 11

საწევრო

11.1. ასოციაციის საწევრო ოდენობის განსაზღვრისას ასოციაციის ბიურო ხელმძღვანელობს ასოციაციის სტრატეგიული მიზების მიღწევისა და ორგანიზაციის მიმდინარე ხარჯებზე ორიენტაციის სტანდარტებით.

მუხლი 12

საქმიანობის შეწყვეტა

12.1. ასოციაცია წყვეტს საქმიანობას:

- ❖ საერთო კრების გადაწყვეტილებით;
- ❖ კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში

12.2. ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, ასოციაციის ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები.

12.3. გადაწყვეტილება ასოციაციის ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

12.4. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება გადაეცემა იმავე ან მსგავსი მიზნების მქონე სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

12.5. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება ასოციაციის წევრებს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.

მუხლი 13

დასკვნითი დებულებები

13.1. თუ ამ წესდების რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

13.2. ამ წესდებებსა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

ასოციაციის პრეზიდენტი დავით მესხიშვილი პ/ნ 01017002159

ასოციაციის დამფუძნებელი ვაჟა იორდანიშვილი პ/ნ 01011017250

მუდმივმოქმედი ბიუროს (გამგეობის) წევრები:

ვაჟა იორდანიშვილი (პ/ნ 01011017250)

დავით კვანტიძე (პ/ნ 01009008188)

გიორგი კენჭაძე (პ/ნ 61001030199)

ზაზა დევდარიანი (პ/ნ 3501052587)

დავით რეხვიაშვილი (პ/ნ 35001005453)
